საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№34 (6399) 26 თებერვალი სამშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

**დღეს ნომერში:**

* თვალსაზრისი:
აჟიოტაჟი პრეფექტურის გამო, თუ... II გვ.

* სოფელი და დრო:
ვისწავლოთ წარსულის შეცდომებზე
* მკითხველები გვწერენ
III გვ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის ქალაქების, ქალაქთა რაიონების, დაბების, თემებისა და სოფლების საკრებულოებში დეპუტატთა რაოდენობისა და დეპუტატობის კანდიდატების წარდგენისა და რეგისტრაციის ვადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ზოგიერთი საკრებულოს ქვემდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობის სიმცირის გამო საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა რაოდენობის ქვედა ზღვარი 5 დეპუტატით განისაზღვროს და ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს სათანადო ცვლილება შეიტანოს „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საკრებულოთა არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში.

2. საქართველოს რესპუბლიკის ქალაქების, ქალაქთა რაიონების, დაბების, თემებისა და სოფლების საკრებულოებში დეპუტატთა რაოდენობა განისაზღვროს ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

3. გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინადადება დეპუტატობის კანდიდატების წარდგენისა და რეგისტრაციის ვადების გაგრძელების შესახებ და ეს ვადები გაგრძელდეს 7 დღით. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დაამტკიცოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 15 თებერვალი.

## დედოზარი გვიხმობს

უკვე დადგა დრო, როცა ყველამ, თითოეულმა ჩვენგანმა ისეთი საქმე აკეთოს, რაც ჩვენს დღევანდელ დაძაბულ და დუხჭირ ცხოვრებას წაადგება.

თუ არა სარეველა, აბა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმ ადამიანს, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, მისი ყველა სიკეთით სარგებლობს და მისი კეთილდღეობისთვის კი არას აკეთებს. არავითარ მონაწილეობას არ იღებს მის ჭირსა თუ სიხარულში, არ ესმის, ან არ უნდა ისმინოს დედოზარის ძახილი.

იმედისმომცემია და გულში მომავლისადმი რწმენის ნაპერწკალს გვიღვივებს ამ ცოტა ხნის წინ რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკებში ეროვნული თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით სპეციალური ფონდის შექმნა, რასაც თვით საქართველოს მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნა დაედო საფუძვლად.

რაიონში თითქმის დარჩენილი არაა დაწესებულება, საწარმო-ორგანიზაცია, სასოფლო საბჭო, სკოლა თუ კოოპერატივი, თანამშრომელთა სახელით თავისი წვლილი არ გაეღოს და შეძლებისდაგვარად თავდაცვის ფონდში ფული არ გადაერიცხოს.

ამის შესახებ მკითხველს პერიოდულად ვაწვდით ცნობებს და ამჯერადაც გვინდა მივაწოდოთ:

**ცაგერის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს** ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს სახბანკის ცაგერის რაიონულ განყოფილებაში გახსნილ ანგარიშზე 1000 მანეთი აქვს გადარიცხული; **კოოპერატივ „სიახლეს“** — 1000 მანეთი, **ორბელისა და ლასურიაშის სასოფლო საბჭოების** მშრომელთა სახელზე 140-200 მანეთი. თვით სახბანკის რაიონული განყოფილების მმართველმა **ბონდო ჭაბუკიანმა** ანგარიშის გახსნისთანავე ჩარიცხა ერთი თვის ხელფასი — 390 მანეთი. სამი შვილის დედაა ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს ექიმი **იზო ჩაკვეტაძე.** მისი ვაჟები სულ მალე ეროვნულ გვარდიაში გაერთიანდებიან. იზომ ამას წინათ თავისი ხელფასიდან 100 მანეთი გადარიცხა თავდაცვის ფონდში. გრძელია იმ ადამიანთა სია, რომლებსაც თავის დანაზოგიდან 10, 20 და 30 მანეთი აქვთ გადარიცხული.

დღეისათვის რაიონის მშრომელთა მიერ თავდაცვის ფონდში 20467 მანეთია გადარიცხული. ჩვენი ერისთვის უაღრესად საჭირო და კეთილშობილური საქმისათვის თანხების გადარიცხვას რაიონის მშრომელები კვლავ აგრძელებენ.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების „საქართველოს რესპუბლიკის ქალაქების, ქალაქთა რაიონების, დაბების, თემებისა და სოფლების საკრებულოებში დეპუტატთა რაოდენობის შესახებ“ დანართის შესაბამისად დეპუტატთა რაოდენობა განსაზღვრულია ცაგერის რაიონში

| საკრებულოს № | საკრებულოს დასახელება | მანდატების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1. | ქ. ცაგერის | 21 |
| 2. | ტვიშის სოფლის | 16 |
| 3. | ლაილაშის სოფლის | 16 |
| 4. | ალპანის სოფლის | 19 |
| 5. | ორბელის სოფლის | 22 |
| 6. | უსახელოს სოფლის | 15 |
| 7. | ლვირიშის სოფლის | 17 |
| 8. | ნაკურალეშის სოფლის | 9 |
| 9. | ალვის სოფლის | 12 |
| 10. | ლასურიაშის სოფლის | 18 |
| 11. | ცაგერის სოფლის | 24 |
| 12. | ლუხვანოს სოფლის | 12 |
| 13. | წიფერჩის სოფლის | 17 |
| 14. | ზუბის სოფლის | 17 |
| 15. | ოყურეშის სოფლის | 15 |

## ჭირ თათმენის დრო დაგვიდგა

სამი ვაჟიშვილის დედა ვარ, შვილები უმამოდ დავზარდე და ცხოვრების ყველა სიძნელე გამოვლილი მაქვს. უიმედობა საერთოდ არ მჩვევია, მომავალს იმედის თვალით ვუყურებდი და ვუყურებ. დარწმუნებული ვარ, რომ შორს არაა ის დრო, როცა საქართველო იქნება ერთიანი, ძლიერი, აყვავებული და განახლებული, სამართლიანი და ბედნიერი, ხალხთა შორის სიყვარულისა და მეგობრობის გამტარებელი ქვეყანა, რომელსაც ღმერთი დაიფარავს. მათ კი, ვინც ახლა ბოროტებას თესავს საქართველოსა და ქართველი ერის წინააღმდეგ, მაღალი ღმერთი არ აპატიებს.

სიმართლე გითხრათ, დღევანდელი ცხოვრების უკიდურესმა პირობებმა ლამის უიმედობაში ჩამაგდოს. დღითიდღე ცარიელდება მაღაზიები, სურსათის მწვავე დეფიციტია. ცეცხლი უკიდია ბაზარს. აგერ უკვე ორი თვეა, რაც ჩვენს მაღაზიებში კარაქი არ გამოჩენილა. კარგი, ჩვენ უფროს თაობას ჭირთა თმენის დრო გვიდგას და ამაზე უარესიც რომ იქნეს, უნდა მოვითმინოთ, მაგრამ რა ვუყოთ ბავშვებს, რა ვქნათ, ვისაც სოფელი არა გვაქვს და მხოლოდ ხელფასზე ვართ. ამას საზოგადოებრივი უწესრიგობა და არნახული ქაოსი დაემატა. დღითიდღე მატულობს დანაშაული. ხალხში იარაღის დაგროვებამ, შეიარაღებულ საზოგადოებრივ ფორმირებათა არსებობამ ჩვენ ყველას და განსაკუთრებით კი დედებს სერიოზული საფიქრალი გაგვიჩინა. ასეთი საფიქრალი, ასეთი გასაჭირი, აკი ვთქვი კიდეც, სამი ვაჟი გავზარდე და არ დამდგომია.

ხელისუფლების ადგილობრივი მმართველობის შემოღებაზე, პრეფექტისა და პრეფექტურის ინსტიტუტზეა ლაპარაკი, საჭიროა დაჩქარდეს იგი, მით უფრო რაიონში მმართველობის მწვავე დეფიციტი გვაქვს.

ერთი თვე დარჩა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნებამდე, საბჭოების მაგივრად ადგილებზე საკრებულოები იქმნება, ეს სიახლე საქმით უნდა გამოჩნდეს, ჩვენი ყოფა სასიკეთოდ უნდა შეიცვალოს.

**თ. ახვლედიანი,**

## აქედან თუ ვიზრუნებთ

**გვყოფნის,** სავსებით საკმარისია, რაც ჩვენს დღევანდელ საქართველოს ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო უჭირს და ის, რაც ჩვენ შეგვიძლია, ჩვენ ხელგვეწიფება, ძალღონე არ უნდა დავიშუროთ და, რაც შეიძლება, დროზე და ოპერატიულად მივაწოდოთ.

შარშან პირველ კვარტალში რაიონის მშრომელებმა 122 ტონა შავი ლითონი მიაწოდეს რესპუბლიკის მძიმე მრეწველობას, ამდენივე უნდა დამზადდეს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში. წლის მეორე თვის დამთავრებას ბევრი არაფერი აკლია და ჯერჯერობით მხოლოდ 12 ტონა ჯართია რაიონიდან ჩაბარებული და ისიც მხოლოდ ორად ორი დაწესებულებიდან. კერძოდ, რაიკოოპერატივის სახელზე 10 ტონა ჯართი გაეგზავნა რესპუბლიკის მრეწველობას, 2 ტონა კი სასურსათო კომბინატიდან.

ჯართის სახელმწიფოსათვის ჩაბარება პატარა საქმედ ნურავის მოეჩვენება, ამ დიდი და სერიოზული საქმისათვის ყველამ ერთად ვიზრუნოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

# ᲐᲟᲘᲝᲢᲐᲟᲘ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲗᲣ ...

„თვით სათნოებას ვერ ასცდება ცილისწამება...
გაზაფხულისა ყვავილთ მატლი ხშირად მაშინ ღრღნის,
როდესაც ნორჩნი კოკორნი ჯერ არ გაფურჩქვნიათ“.

**უ. შექსპირი.**

სამ თვეზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, როცა ქართველმა ხალხმა მრავალპარტიულ არჩევნებში ხმა მისცა ღირსეულ დეპუტატებს (მხედველობაშია უმრავლესობა) და აირჩია ჭეშმარიტად ეროვნული პარლამენტი. მისია ახლადარჩეული პარლამენტისა იმთავითვე იყო და არის წმინდათაწმინდა, მაგრამ ამასთან ულევსად ძნელი, იგი ჯერჯერობით ერთადერთი ორგანოა, რომლის მეშვეობითაც ქართველმა ხალხმა შედარებით უმტკივნეულოდ უნდა მიაღწიოს სახელმწიფოებრიობის აღდგენასა და ნანატრ თავისუფლებას.

დასამალი რაა, და სიტუაცია, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და სოციალურიც კიდევ უფრო დაიძაბა. კრემლს გაგონებაც არ სურს თავისუფლებაზე საუბრისა და მოკლე, შოკირებული სიჩუმის შემდეგ გორბაჩოვმა განუცხადებლად „განაცხადა“ ეკონომიკური ბლოკადის შესახებ საქართველოს მიმართ. არის საკმაოდ ძლიერი ეჭვი იმის შესახებაც, რომ შიდა ქართლის კონფლიქტი ინსპირირებულია ცენტრის მიერ. ამას დაემატა ქართველთა შინაგანი ბუნებისათვის მეტად დამახასიათებელი „მერმე შინათ აიშალნენ“-ის პოლიტიკა და ოპოზიციამ, კონგრესის სახით, გარეგნულად მომხიბვლელი წინადადებებით საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, ატომურ ურჩხულს ლამის პირში მისცეს კაცის თოფის დონეზე შეიარაღებული საქართველო.

მოდერნიზაციას მიჰყო ხელი საქართველოს დამოუკიდებელმა კომპარტიამ და ვინ იცის, რა ხრიკებს არ მიმართავს მკვეთრად დაცემული ავტორიტეტის აღდგენისათვის.

გაიფართოვა სამოქმედო არე სამშობლოს ბედით არცთუ გულდამძიმებულმა მაფიამ, დამნაშავეთა სამყარომ და პირდაპირ ცენტრალური საწყობებიდან დატაცებული სასურსათო და სამრეწველო საქონლის ნაწილი გადამალა, ნაწილით კი სამარცხვინო ვაჭრობა გააჩაღა რესპუბლიკებში სხვადასხვა საქონელზე, მათ შორის რადიაციულ პროდუქტებზე.

იგრძნეს რა გადადგომის მოახლოება, თანამდებობის პირებმა ხელყვეს სახელმწიფო დაწესებულებების, უწყებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ქონება. სახელმწიფოსაგან უკანონოდ, ჩალის ფასად შეიძინეს დაზგები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მსუბუქი მანქანები, სხვა სახის საქონელი.

ენერგეტიკულმა კრიზისმა და ამის გამო ფაბრიკა-ქარხნების დროებითმა გაჩერებამ ჯამაგირის გარეშე დატოვა ათეულ-ათასობით მუშა-მოსამსახურე.

ბაზარზე საკვები პროდუქტების ფასმა თითქმის კულმინაციურ ზღვარს მიაღწია. რამდენიმე ასეული პროცენტით გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის ფასიც. ყოველივე ამან გამანადგურებლად იმოქმედა საშუალო და ღარიბესი ფენების სოჯახო ბიუჯეტზე. ეკონომიკური ყულფი სულ უფრო ვიწროვდება. ფართო ფენების მოთმინების ფიალა ივსება, ნერვული სტრესი ძლიერდება და თუმც ეროვნულ პარლამენტს ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონია, რადგან თანმიმდევრობით იღებდა ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის კანონებსა და დადგენილებებს, არის დიდი საშიშროება იმისა, რომ ქართველი ხალხი უგუნურად დაუპირისპირდეს მის მიერვე არჩეულ უზენაეს ორგანოს.

იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობა ვერ ფლობდა სიტუაციას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ქაოსის თავიდან ასაცილებლად, პირველ ეტაპზე რეგიონებში შეიქმნა სასპარლამენტო კომისიები, რომლებმაც ვერ გაამართლეს დანიშნულება და მალე მას მოჰყვა კანონი პრეფექტურის ინსტიტუტის შემოღების შესახებ.

უზენაესი საბჭოს ამ ნაბიჯმა გამოიწვია არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არა მარტო სხვადასხვა პოლიტიკური თვალსაზრისის მქონე პარტიებში, არამედ მათშიც, ვინც სულით ხორცამდე უჭერდა მხარს ბლოკის „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ წინასაარჩევნო პლატფორმას. ბევრმა ეს გადაწყვეტილება დემოკრატიული პრინციპებიდან გადახვევად მიიჩნია და არც თუ უსაფუძვლოდ.

იმის გასარკვევად, რამდენად დემოკრატიულია პრეფექტურის ინსტიტუტის შემოღება დღევანდელ გარდამავალ პერიოდში, საჭიროა განვიხილოთ სამი საკითხი: 1. კანონის შემოღების წინაპერიოდი; 2. პრეფექტურის ინსტიტუტის დანიშნულება; 3. პრეფექტურის ინსტიტუტის თავსებადობა დემოკრატიულ პრინციპებთან.

1. კანონის შემოღების წინაპერიოდი ნაწილობრივ ზემოთ არის დახასიათებული, მაგრამ ძირითადი მიზეზი იმისა, რამაც განაპირობა პარლამენტის არჩევანი პრეფექტურების შემოღებაზე, არის საქართველოს ის რეგიონები, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ შემოხიზნული ათასი რჯულის ხალხი და სადაც ქართველები უმცირესობას წარმოადგენენ.

თუნდაც ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ადგილობრივი ხელისუფლების დემოკრატიული არჩევნების შედეგები და ყველასათვის ნათელი გახდება, რომ ზემოთხსენებულ რეგიონებში წარმატებას მიაღწევდნენ აზერბაიჯანელები, სომხები, ოსები ან კიდევ ვინ იცის, სად ვინ. ამის შემდეგ შეიძლება დავსვათ რამდენიმე კითხვა. შეძლებდა პარლამენტი და საქართველოს მთავრობა თავისი ხელისუფლება გაევრცელებინა ამ რეგიონებში? ხომ არ გაიზრდებოდა ამ მოსახლეობის რაოდენობა ისევ ხიზნებისა და სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსახლებულთა რიცხვით? ხომ არ მოსწყდებოდა ეს ძირძველი მიწა საქართველოს? და ბოლოს, ჰქონდა კი უფლება ეროვნულ პარლამენტს დაეშვა ასეთი შეცდომა?

2. „პრეფექტი“—(ლათ. უფროსი) ძველ რომში თანამდებობის პირი, რომელიც ზედამხედველობას უწევდა პრეფექტურებს. 1982 წლამდე საფრანგეთში პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირი, რომელიც დეპარტამენტებს ხელმძღვანელობდა, როგორც ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი“ (ქართ. საბ. ენციკლოპედია).

და 3. პრეფექტურის თავსებადობა დემოკრატიულ პრინციპებთან. იგივე ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით „დემოკრატია—(ბერძ—ხალხის ძალაუფლება) სახელმწიფო ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლება ხალხისაგან მომდინარეობს“. „დემოკრატიას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: უმცირესობის დამორჩილება უმრავლესობისადმი“. და ა. შ.

ჩვენი პარლამენტი ხალხის არჩეულია, ე. ი. დემოკრატიის პრინციპები, ხელისუფლება ხალხისაგან მომდინარეობს და უმრავლესობას მორჩილებს უმცირესობა, განხორციელებულია. პარლამენტი ნამდვილად სახალხოა, მისი ეს ნაბიჯიც ჭეშმარიტად სახალხოა და მთლიანად შეესატყვისება სახელმწიფოს დემოკრატიულ წყობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონში გარკვეულწილად დათრგუნვილია ადგილობრივი მოსახლეობის აზრი, ის მთლიანად შეესაბამება გარდამავალი პერიოდის მოთხოვნებს და ყოველგვარი აჟიოტაჟი მის გარშემო ქართველი ხალხის სურვილებისა და პრინციპების ღალატია. დავფიქრდეთ, ქართველებს დიდი მოთმინება გვმართებს.

**დ. სანთელაძე,**
საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცაგერის რეგიონალური ორგანიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲕᲔᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠ ᲪᲕᲘᲚᲘᲡᲔᲑᲠ ᲪᲠᲣᲤᲐᲠᲘᲐᲜᲐᲡ

ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ ცვილისებრი ცრუფარიანას მატლები აზიანებენ 100-ზე მეტი სახეობის კულტურულ, სუბტროპიკულ და ველურ მცენარეს.

იმერეთის რაიონებში ძლიერ აზიანებს კეთილშობილ დაფნას, სუბტროპიკულ ხურმას, თუთას, ვაშლს, მსხალს, კომშს, ქლიავს და სხვა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ვაზი, რომელზედაც, მართალია, სახლდება, მაგრამ დაზიანება არ არის ძლიერი.

მატლების მიერ ფოთლების, ყლორტების, ღეროების ქსოვილებიდან საკვების ამოწუწვნის გამო მცენარეში ირღვევა წვენთა მოძრაობა, მცირდება ორგანული მასა. იაპონური ცვილისებრი ცრუფარიანას მავნე მოქმედებას აძლიერებს ის, რომ მის გამონაყოფზე სახლდება სოკო—კაპნოდიუმი, მისი შავი ფერის ქერქი იფარება ფოთლების ზედაპირი, მცენარეში მცირდება ფოთლების ფოტოსინთეზის ენერგიის და ასიმილაციის უნარი, დაზიანებულ და დასუსტებულ მცენარეს ფოთლების დიდი ნაწილი ცვივა—ინტენსიურად გამრავლების დროს მცენარის ღერო, ტოტების ნაწილი და ზოგჯერ მთელი მცენარე ხმება.

ბრძოლის ღონისძიებანი: მავნებლის მიმართ უნდა გატარდეს მოსპობითი ღონისძიება—პესტიციდების სითხით შესხურება. შესხურება უნდა ჩატარდეს მავნებლის მოზამთრე ფაზაში—გაზაფხულზე (მარტის თვეში) პრეპარატ №30-ის 3 პროცენტიანი ემულსიისა და ფოზალონის 0,2 პროცენტიანი სამუშაო ემულსიის კომბინირებული ნაზავით (100 ლიტრ წყალზე აიღება 3 კილოგრამი პრეპარატი №30, 200 გრამი ფოზალონი.)

ზაფხულში (ივლის-აგვისტოში) მატლების წინააღმდეგ—ფოზალონის 0,3 პროცენტიანი ბი-58-ის 0,2 პროცენტიანი სამუშაო ემულსია (100 ლიტრ წყალზე აიღება 300 გრამი ფოზალონი ან 200 გრამი ბი-58).

**ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ,**
საქარის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის განყოფილების გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲨᲘ

21 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ საღამოს 8 საათიდან 22 თებერვლის დილამდე საქართველოს მილიციის შტაბს ავტოინსპექციის საგუშაგოსთან და სოფელ თამარაშენს ცეცხლს უშენდნენ ოსი ექსტრემისტები. სროლა დაიწყო ცხინვალის სასაფლაოსთან და ქალაქის საცხოვრებელი კვარტალების მხრიდან, მაგრამ ცხინვალის მილიციის საქალაქო განყოფილების მუშაკები შეეცადნენ სროლის ატესა გადაებრალებინათ საქართველოს მილიციის მუშაკებისათვის. ბედად ჩვენს შტაბში აღმოჩნდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი პრესცენტრის ხელმძღვანელი ალექსანდრე როსტოვცევი, რომელმაც დაადასტურა ექსტრემისტების მხრიდან სროლის დაწყების ფაქტი.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ნაწილმა 21 თებერვალს ჯავის რაიონში ამოიღო 4 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება. მათვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებო ორგანოებს გადასცეს იმ რაკეტებისა და ნაღმების ნაწილები, რომლებიც ექსტრემისტებმა 17 თებერვალს დაუშინეს ცხინვალის რაიონის სოფელ სვერს.

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲪᲔᲜᲢᲠᲘ. ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.**

# ახალი ავტოფურგონი



ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ სსრ. სახელმწიფო კომისიამ „ფრიადი“ შეფასებით მიიღო ახალი ავტოფურგონი, რომელიც შეიქმნა სპეცავტომობილების ბაქოს ქარხანაში. პირველმა სამმა მანქანამ გამოცდა გაიარა მოსკოვის ავტოპოლიგონების რთულ ტრასებზე.

ახალი ფურგონი შექმნილია რეკორდულად მოკლე ვადაში—გზა პროექტირებიდან სერიულ გამოშვებამდე გაილია 3 წლის განმავლობაში. მანქანის უპირატესობაა შემდუღებელი სამუშაოების მინიმუმი, აწყობის სიმარტივე, განსაკუთრებული სიძნელეების გარეშე ათამდე მოდიფიკაციის გამოშვება. ბაქოელმა დიზაინერებმა და ნაბერეჟნიე ჩელნელმა სპეციალისტებმა დააპროექტეს კაბინის ორიგინალური ვარიანტი, მაგრამ პრობლემაა ძარა, მას ბაქოში ხელით აწყობენ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ახალი ავტოფურგონი.

**Ფ. ᲮᲐᲘᲠᲣᲚᲘᲜᲘᲡ ფოტო. (ᲡᲐᲥᲓ. ᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).**

## სოფელი და დრო

# ვისწავლოთ წარსულის შეცდომებზე

ერთ დროს ლაილაში ლეჩხუმის ადმინისტრაციული ცენტრი, ხალხმრავალი, მრავალეროვანი სოფელი იყო, მაშინ ჰყვაოდა მეურნეობა, ხელოვნება, ვაჭრობა, სოფელი ამაყობდა შემოქმედი ადამიანებით, ლაზათიანი ბუნებით, მაგრამ ეს იყო წინათ...

გლეხური მეურნეობის გაჩანაგებამ, ხელოსნობისა და ვაჭრობის დევნამ ხალხისაგან დასცალა სოფელი, უბედურება ის იყო, რომ ყველაფერი ხელიდან გვეცლებოდა და თავს მაინც ბედნიერი მომავლის ილუზიით გვიტენიდნენ. სტკივა სოფელს, უსაშველოდ სტკივა წარსულის იარები. ჩვენს სოფელსაც სტკივა თავისი წილი კოლექტივიზაცია, ოცდაათიანი და ორმოცდაათიანი წლები. ბევრი რამ დააკლდა სოფელს, მაგრამ არავინ არ გაუწია ანგარიში მის გასაჭირს. ანგარიში გაუწია კი არა, რამდენი პარტიული ფუნქციონერიც მოვიდა რაიონში, ყველამ დევნა დაუწყო ძველს, მისთვის არასასურველ კადრებს. ღმერთმა იცის, რა ნიშნით ხდებოდა ეს, ალბათ მისთვის საიმედო გარემოცვის შექმნით! მაშინ, როდესაც სოფელს დახმარება ესაჭიროებოდა, ისედაც ხალხისაგან დაცლილს სისხლის ბოლო წვეთებს ართმევდა მუშახელის ეგრეთწოდებული „ორგშეგროვება“ რესპუბლიკის სხვადასხვა სამუშაოებზე, რაც ფაქტიურად მათი სოფლიდან განთესვა იყო. ხმას კი ვერ ამოიღებდი, რადგანაც „გეგმა კანონია!“ აი, ასეთმა კანონებმა დატოვა სოფელი ცივ ქვაზე.

ხალხი დაქანცა ათასნაირმა იწილო-ბიწილომ, ექსპერიმენტებმა, თავნებობამ, მკვდრადშობილმა გეგმებმა და ტყუილებმა, მინაწერებმა, რამაც ადამიანს რწმენა დაუკარგა და ხელი ჩააქნევინა ყველაფერზე. თითქმის ყველა ფუსფუსებდა. იქმნებოდა და დგებოდა პერსპექტიული, შემხვედრი და ღმერთმა იცის, რა სახის გეგმები. თუნდაც, ავიღოთ ავადსახსენებელი ეგრეთწოდებული „დამსხვილებანი“ საწარმოების, კოლმეურნეობების, საავადმყოფოების და ა. შ. რამაც ფაქტიურად გააპარტახა სოფლები. ჩვენს სინამდვილეში თაბორი და სურმუში ნასოფლარებად იქცა. გამოთქმაც ძნელია, რა მტკივნეულად განიცადეს ლაილაშელებმა. ლეჩხუმის პირველი, ლაილაშის საავადმყოფოს გაუქმება. ვის არ ვთხოვეთ და მივმართეთ, მაგრამ ყველამ თვალი აიხვია და გული გაიცივა, თუმცა ხალხის ხმას ვინ დაგიდევდა, განაჩენი ხომ იქ იწერებოდა, სადაც თხოვნით შევდიოდით.

ძნელი სათქმელია, ახალი სიო როგორ გადაელობება ძველ დამანგრეველ გრიგალებს, მაგრამ საშიშია, რომ ალებულმა ინერციამ შთანთქას სკოლებიც, რაც ალბათ საბოლოო წერტილს დაუსვამს სოფლის ყოფნა-არ ყოფნის საკითხს. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ დაავადებულს განკურნება უნდა და არა სასიკვდილო განაჩენი.

დროა გავთავისუფლდეთ მართლაცდა ძველი სტერეოტიპებისაგან, ყველას გაოცებას იწვევს რატომ მოხსნეს ცაგერი-ლაილაშის ავტობუსის ხაზი, ალბათ იტყვიან, საწვავის დეფიციტიაო, გვჯერა, დღეს თითქმის ყველაფრის დეფიციტია, მაგრამ ნუ შევქმნით სინდისის ხელოვნურ დეფიციტსაც, ჩვენც ხომ ადამიანები ვართ! ყველაფერს ხომ ზღვარი აქვს? ღმერთმა ყველას სიკეთე მისცეს, მაგრამ რადა ჩვენს თავზე გადატყდეს ყველაფერი, ბუნების სასჯელს, ჩიხში რომ მოგვაქცია, თქვენს სასჯელსაც ხომ არ უმატებთ? აბა, რას უნდა მივაწეროთ: ჩვენთან ავტობუსი არ უნდა მოვიდეს, საქონელი არ უნდა შემოიტანონ მაღაზიებში, გაზი საოცნებოდ გაგვიხდეს, რაიმეს გამოჩენასთან ერთად ხალხი არასწორად იქცევა. შთანთქმულია წესრიგი, განუკითხაობა თარეშობს ფასებზე, წონაზე და ზომაზე. არა, ამ გზით აღთქმულ ტაძართან მართლაცდა ვერ მივალთ.

ნეტავ ვინ დაგვწყევლა, ვისი წყევლა აგვიხდა, რომ ეს სოფელი სანანებლად გაგვიხდა? მართლაც და ანგარიშს ხომ არ უსწორებენ ერთ დროს მოწინავეობისათვის ჩვენს სოფელს?

ნუ ვიფიქრებთ, რომ ამ შვიდი ათწლეულის მანძილზე სოფელში არაფერი გაკეთებულა, გაკეთდა, როგორ არა, ბევრიც გაკეთდა, მაგრამ საკითხავია, როგორი გაკეთდა!. მთელი უბედურება ისაა, რომ სოფელია დანგრეული, მისი გულის სისხლია დაშრეტილი, ხალხმა მიატოვა მარჩენალი მიწა. წლების მანძილზე გლეხობას უნერგავდნენ მიწის სიძულვილს. ქვეყნის სასიკვდილო განაჩენი მაშინ იქნა გამოტანილი, როდესაც გლეხს მიწისა და პირუტყვის წართმევით ვუსწორდებოდით და ასეთი ქმედება არც გვაპატია ისტორიამ, რომლის მწარე ნაყოფსაც ამჟამად ვიმკით.

დროა, აღარ გავიმეოროთ წარსული შეცდომები. თუ ვინმემ მოინდომა მიწასთან ჭიდილი, მწვანე გზა გავუხსნათ მას. ოღონდ კანონიერი, სამართლიანი გზა და არა სტიქიური, განუკითხავი. ყველამ უნდა იწვნიოს მიწის სიმძიმეც და მადლიც. უნდა აღიკვეთოს მიწების თვითნებური მიტაცების შემთხვევები.

დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყველას, ვინც სხვის ნაშრომს უდარაჯებს და მისი მითვისებით წურბელასავით სივდება და ხაფი ხმით კი საქართველოს დემოკრატიულ სამოთხეზე ქადაგებს. რამდენად მალე შემცირდება რიტორთა რიცხვი და გაიზრდება შემოქმედთა არმია, იმდენად მალე ეშველება სვებამწარებულ საქართველოს, რადგანაც შრომაა უპირველესი ღმერთი ამ სამზეოში და გვწამს, სოფელიც გაძლიერდება, ცხოვრება მოწესრიგდება.

მხოლოდ ცხოვრების მოწესრიგება განკურნავს სკოლის მწვავე ტკივილებს და გონზე მოიყვანს ყველას, ვინც მას ცხოვრებისეული და სიღრმისეული მოვლენებისაგან ცალკე განიხილავს, მის გარდაქმნას ზედაპირული, ცალსახა ღონისძიებებით ცდილობს და ავიწყდება, რომ სკოლა ზედნაშენია და არა ბაზისი, და როგორიცაა საზოგადოება, ისეთივეა მისი სკოლა და ცხოვრება. საჭიროა ამ უაღრესად რთულსა და ფეთქებად, გარდამავალ პერიოდში, როდესაც დემოკრატიული ძალები მუხლს იმაგრებს, მაგრამ მის მტკიცე ნაბიჯებს წინ ეღობება აუარებელი ხილული და უხილავი წინაღმდეგობრივი ძალები, ვისწავლოთ წარსულის შეცდომებიდან, მოვახდინოთ საზოგადოების ზნეობრივი განწმენდა და სწორედ ეს გადაარჩენს საქართველოს, მის ყოველ კუთხეს, სოფელს.

**ნ. მესხაძე,**
ლაილაშის საშუალო სკოლის დირექტორი.

## სკოლა

# ისტორია ტოპონიმებში

მოსწავლეთა ეროვნულ-პატრიოტულ აღზრდაში, ცალკეული საგნების მაღალ დონეზე სწავლებასთან ერთად დიდი როლი მიუძღვის მიზანმიმართულად კლასგარეშე ღონისძიებების ჩატარებას. ზუბის საშუალო სკოლაში ამ საქმეს სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ და სასურველ შედეგებსაც ვაღწევთ.

ამჯერად გამოვყოფდი საქართველოს ისტორიის მხარეთმცოდნეთა წრის ნაყოფიერ მუშაობას, რომელსაც წლების მანძილზე ვხელმძღვანელობ. როცა ბავშვებს ვასწავლიდი თემას „ბრინჯაოს ხანა საქართველოში“, ყურადღება გავამახვილე ზუბის რეგიონში არსებული „ნამჭედარების“ ტოპონიმებზე. ზაფხულის პერიოდში ბავშვებმა, წრის წევრებმა, გულდასმით შეისწავლეს ეს ადგილები და აღმოჩნდა, რომ ამ პატარა რეგიონში არსებობს ოთხი ნამჭედარი ტოპონიმი, ამას დაემატა ისიც, რომ ორი ათას ორასი მეტრი სიმაღლის მთას ჰქვია „საკვერია“. შესწავლილ ადგილებში წრის წევრებმა უხვად აღმოაჩინეს ბრინჯაოს ნადუღარი წიდა. კიდევ მეტი, მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებმა ა. ყურაშვილმა და ჯ. ჯანელიძემ საოცარი რამ აღმოაჩინეს, მათ მიერ მიგნებული იქნა მადნის სატეხი დინგილოდი და ლითონის სადუღარი ღუმელის ფუნდამენტი, რითაც შესაძლებელი გახდა ნახაზით აღდგენილი ყოფილიყო მისი სურათი.

ძიების შედეგები განზოგადდა და თემის სახით დამუშავდა მხარეთმცოდნეობის წრეში. „ნამჭედარები“ ზუბის ტერიტორიაზე, რაზე მოგვითხრობენ ისინი“— მოხსენება გააკეთა მე-11 კლასის მოსწავლემ გ. ომანაძემ. ჩვენ გვწამს, რომ ეს აღმოჩენა საქართველოს ისტორიაში უნიკალურია. ამიტომ სპეციალისტებმა ყურადღება უნდა იღონ, რომ საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი ზუბის ტერიტორია და თუ ძირფესვიანად იქნება შესწავლილი ჩვენს მიერ მიგნებული ნამჭედარების ნაშთები, ეგებ ლეჩხუმს ლომის წილი უდევს ბრინჯაოს ხანის კულტურულ მემკვიდრეობაში. ამ აზრს ამაგრებს ამ რეგიონში არსებული რამდენიმე „კვერ“ ფუძიანი ტოპონიმები. მაგალითად, „კვერეშულა“, „კვერგვერდი“, „სკვერია“ და „თაკვერი“. ვინ იცის, ამ „კვერ“ ფუძიან სახელებში ეგებ „სკვიმია—თაკ[illegible] [illegible] ეგება დამარხული [illegible] განსაკუთრებით გამოიკვეთა მხარეთმცოდნეობის წრის წევრთა შეკრებაზე, რომელსაც არა მარტო წრის წევრები, არამედ მოსწავლეებიც, სხვა მასწავლებლებიც ესწრებოდნენ.

ძალიან საინტერესოდ ჩატარდა სკოლის მხარეთმცოდნეთა და ქართული ენისა და ლიტერატურის წრეების გაერთიანებული შეკრება-მეცადინეობა თემაზე: „დავითობა“ საქართველოში. ამ შეკრება-მეცადინეობას საკმაო დროის მანძილზე ამზადებდნენ წრეების წევრები, მათ ამ დიდი ერისკაცის შესახებ თითქმის ყველა წყარო შეისწავლეს და ისტორიულ-მხატვრულ ასპექტში წარმოადგინეს. საინტერესო ის იყო, რომ უსაზღვროდ საყვარელი მამულიშვილის, მეფისა და მხედართმთავრის ყველა ნატერფალს ახლდა დიდძალი ლიტერატურული მასალა, რომელსაც გეგმაზომიერად მართავდა მოსწავლეთა მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი მ. მამარდაშვილი.

სკოლის ხელმძღვანელობა, მთელი პედაგოგიური კოლექტივი დავრწმუნდით, რომ ასეთ მუშაობას სკოლაში დიდი აღმზრდელობითი, შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან, ამ ღონისძიებში მძლავრად გამოიკვეთა ეროვნულ-პატრიოტული მისწრაფება რომლის დევიზია „ენა, მამული, სარწმუნოება“.

ზუბის საშუალო სკოლის მოსწავლეებს სამომავლოდ კიდევ ბევრი სიახლე აქვთ ჩაფიქრებული, ამათგან ერთს გავამხელდი—როგორც კი გაზაფხულდება, გადაწყვეტილი აქვთ შეისწავლონ ჟამიანობის დროინდელი სამალავები ზუბის ტერიტორიაზე, ასეთებია: „გამოკირული“, „ქვაბსამალი“, „ჭყონდილის გამოქვაბული“ და სხვა. ამით კიდევ გადაიდგმება ერთი ნაბიჯი, რომ საფუძვლიანად იქნას შესწავლილი ჩვენი დედა ისტორია, ჩვენი მხარე, ჩვენი წინაპრების გმირული ნაკვალევი, რითაც კიდევ ახალი ძიების კონტურები ჩნდება ლეჩხუმის რუკაზე—ვუპასუხოთ საიდუმლოების წყვდიადით მოცულ კითხვას—„ვინ ხარ შენ—თაკვერო?“.

**ვ. ჩაკვეტაძე,**
ზუბის საშუალო სკოლის დირექტორი.

## მკითხველები გვწერენ

# სჯობს გვიან

საზრუნავი და საფიქრალი ყოველთვის ბევრი ჰქონდა სოფელ ღუს მცხოვრებლებს, მაგრამ 1990 წლის ზამთარმა განსაკუთრებით დიდი საზრუნავი შემატა მათ. ლაილაშიღუს გზაზე ჩამოწვა მეწყერი, რომელმაც წალეკა გზის დიდი მონაკვეთი. მოგეხსენებათ, გზა ჩვენთვის მგზავრობის გარდა პროდუქტების შემოზიდვის, ავადმყოფთა გადაყვანის საშუალებაა. ჩვენ კი 3—4 თვის განმავლობაში საცალფეხო ბილიკებით ვეზიდებოდით ლაილაშამდე წისქვილში საფქვავს, გაზის ბალონებს და პროდუქტებს.

ჩვენი გასაჭირი გულთან მიიტანა ცაგერის საგზაო სამმართველომ, ლაილაშის სასოფლო საბჭომ და დასახეს ღონისძიება, რომლის მიხედვით უნდა გაწმენდილიყო და მოხრეშილიყო მეწყრისაგან წალეკილი გზის მონაკვეთი. ძალ-ღონის დაუზოგავად მუშაობდა ჩვენთან მოვლენილი ბრიგადა, თავი გამოიჩინეს რ. დავითულიანმა, მ. ხვადაგიანმა, და სხვებმა. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ყველა მათგანმა კაცურად იშრომა, გაწმინდეს და მოხრეშეს გზა.

დაგვაგვიანდა სამადლობელი სიტყვის თქმა ამ კეთილი ხალხისათვის, მაგრამ ნათქვამია: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“, მადლობა გვინდა ვუთხრათ მათ, მადლობასთან ერთად იმედსაც არ ვკარგავთ, რომ თუ საჭირო იქნება, კვლავაც მონდომებით შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას და არ დაგვტოვებენ უმწეო მდგომარეობაში.

**ოთარ გოდერიძე,**
სოფელი ღუ.

# მუდამ სიკეთის გზით ევლოს

ქუთაისი-ცაგერი-ალვის მარშრუტის ავტობუსს მძღოლი ბორის ბანძელაძე მართავს. ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე ჭაბუკი ერთგულად ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას. ბორია თავისი გულისხმიერი, ზრდილი და თავაზიანი მოქცევით ყოველთვის იმსახურებს მგზავრთა სიყვარულს და პატივისცემას. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ იგი ყოველთვის მონდომებით ეკიდება თავის პროფესიულ მოვალეობას, ამ ზამთარში კი, როცა ჯერ თოვლმა დაფარა ქუთაისი—ცაგერი—ალვის გზები, ხოლო შემდეგ საშინელმა ყინვამ სარკესავით ააპრიალა გზის ზედაპირი და მგზავრობა გარკვეულ რისკთან და საფრთხესთან იყო დაკავშირებული, დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა ჩვენმა ახალგაზრდა მძღოლმა და მგზავრები უსაფრთხოდ ატარა. დედაშვილობის მადლმა სულ მშვიდობიან გზებზე ატაროს, სულ სიკეთე და სიხარული შიედოს იმ დახარჯული ენერგიის ფასად, რასაც პროფესიული მოვალეობის შესრულებას ახმარს. სულ მწვანე შუქურა უნათებდეს ბედნიერად სავალ გზას.

**ნორა გოლეთიანი,**
სოფ. მახაში.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

## გილოცავთ ახლადდაქორწინებულებო!

**სოფო არჩილის ასულ ომანაძეს
გოჩა თამაზის ძე სვანიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძძლიერი ოჯახი, შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეთ. გფარავდეთ ღმერთი.

**კახა ბენიძე, ზაზა ყურაშვილი, ბეჟან ღურჭუმალიძე, ელისო, ხათუნა ცვარიანები, მაკა ბენდელიანი, ნინო ფოჩხიძე, მაია გუგავა, გია ქომეთიანი.**

**სოფო არჩილის ასულ ომანაძეს
გოჩა თამაზის ძე სვანიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ სიხარულს, ულევ სიყვარულს. შეგექმნათ ფუძძლიერი, ლამაზი ოჯახი.

**თეა შოთას ასული კოპალიანი, ნატო ბუჭუს ასული გურული.**

**მანანა ჭილვარიას
ნუგზარ ჭაბუკიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძძლიერი ოჯახი. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს

**ვენერა, მაია, რეზო ზაურ ყურაშვილები ოჯახებით.**

**მზია ონიანს
ამირან მიქაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას, შეგექმნათ ფუძძლიერი ოჯახი. სიკეთე, სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**ლელა მიქაძე, რუსიკო ახვლედიანი, დოდო უჩაძე, მალვინა, ლელა სილაგაძეები, მერი ტვილდიანი, მარო, გურამ დავითულიანები.**

**მზია ონიანს
ამირან მიქაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. დაე, ბედნიერი, ფუძძლიერი, მტკიცე ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი შვილთა სიმრავლეს, ჯანის სიმრთელეს გისურვებთ.

**კლარა, ზაურ ახვლედიანები.**

**მანანა ჭილვარიას
ნუგზარ ჭაბუკიანს**

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ მტკიცე ოჯახის შექმნას, შვილთა სიმრავლეს.

**ლავროსი ჭაბუკიანი ოჯახით.**

## გილოცავთ

**ნანა, გოგი, ნაზიკო, აქვსენტი გოლეთიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი. კიდევ მრავალ დაძმას აეხმიანებინოს თქვენი ფუძე-ჭერი.

**უჩა, ბორის გოლეთიანები, შოთა, კარლო ცვარიანები, ვალერი, გრიგოლ ბენდელიანები, ავთო ბერიძე ოჯახებით.**

**მაყვალა ხუბუკელაშვილს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს.

**იამზე ახვლედიანი, ქეთო ჩიკვაიძე, ზოია სილაგაძე, ლილი ჭვადაგიანი, დოდო კაჭკაჭაშვილი, მზია ახვლედიანი, ზაირა არდანიანი.**

**თინა გოგოხიძეს**

გილოცავთ შვილთაშვილის შეძენას. კვლავაც მრავალი სიხარული გენახოთ თქვენს ცხოვრებაში.

**რაისანეპიდსადგურის თანამშრომლები.**

**ლეილა, ვახტანგ ომანაძეებს**

გილოცავთ სოფიკოს ბედნიერებას.

**ხათუნა, ნაზიკო, მურთაზ ჩაკვეტაძეები.**

**იზო, ბახვა, ნინო კოპალიანებს**

გილოცავთ შვილიშვილის და დისშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.

**ხათუნა, ნაზიკო, მურთაზ ჩაკვეტაძეები.**

---

**დავით ჯოკიას ძე სალინაძეს
სალომე და ჯოკია სალინაძეებს**

გილოცავთ დაბადების დღეს. დღეგრძელობას, წინსვლასა და წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებაში.

**თამთა, ბაქარ სილაგაძეები.**

**ჯუმბერ კვირკაშვილს
ბექა კვირკაშვილს**

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს.

**ვალიკო, ჯემალ, იური, როლანდ სილაგაძეები, ოთარ ხმელიძე ოჯახებით.**

---

დედა მარინე, მამა ხვიჩა, და ნანა, მამიდა ნონა, ბიძა გოჩა, ბებიები ნათელა, ნინელი, ალდა, როზა, მარინე, ბაბუები სოსო, პიპიკო, სანდრო, ზურიკო, კუკური, დეიდები მაყვალა, მანანა, მალვდი, მაცაცო, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე**

დაკრძალვა 2 მარტს, შაბათს, ქ. ცაგერში.

---

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ლალი ბურჯალიანს, დოდო და გულიკო ელიანოვებს

**ავთანდილ გურგენის ძე ხუციძის**

გარდაცვალების გამო.

---

თედორე სილაგაძე, ლერი სალინაძე, ზაური ახვლედიანი, რამაზ მახარობლიძე, მურმან თევდორაძე, მიხა ზურაბიანი, ვანო ტვილდიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იაგო გივის ძე ბურჯალიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ბესიკ, ზაზა ბახსოლიანები, რამაზ, გენური სილაგაძეები, მირიან გვიშიანი თანაუგრძნობენ კოტე ბურჯალიანს ბიძაშვილის

**იაგო ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაცორიის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ლალი, ლელა ახვლედიანებს პაპის

**ნინა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მრავალდარგობრივი საბინაო-კომუნალური მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ხვიჩა და სოსო ფანჯავიძეებს შვილისა და შვილიშვილის

**ნათიას**

გარდაცვალების გამო.

---

სოფელ ორბელის „ლაშითავის“ კუთხის მცხოვრებლები თანაუგრძნობენ გიგა და ლალი ბურჯალიანებს ძმისშვილისა და მაზლისშვილის

**იაგო ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი მერი ცხვედიანი თანაუგრძნობენ დათო სვანიძეს ბებიის

**თამარ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ანზორ სილაგაძე, დათო სალინაძე, მურად ონიანი, რეზო ლე[illegible]ანი, ჯუმბერ ქურასბედიანი, მიშა ბენდელიანი, სოსო ჩარკვიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვლადიმერ სალინაძე.**

---

ცაგერის კავშირგაბმულობის ტელეგრაფის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა ლიპარტელიანს ბაბუის

**ვლადიმერ სალინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

[illegible]ძლები ლილოსი, ეთერი, ძმისშვილები ბუჭუ, ყორა ნორა ჩაკვეტაძეები, სიძე ზურაბ ახვლედიანი, ძმისშვილიშვილები ალეკო, ნონა ჩაკვეტაძეები, მზია, რევაზ ახვლედიანები, დისშვილები, დისშვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნინა როსტომის ასული ჩაკვეტაძე**

დაკრძალვა 3 მარტს, კვირას, სოფ. ზუბში.

---

ლამარა, დათო კაჭკაჭაშვილები, ვიტალი მუშკუდიანი, გია, ჯემალ კოპალიანები, რეზო მურცხვალაძე, აკაკი, ანზორ ნემსაძეები, ამირან ასათიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნათია ფანჯავიძე**

---

სარაიონო კულტურის სახლისა და ცენტრალური ბუღალტერიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბორის სვანიძეს დედის

**თამარ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის 1971 წლის მე-10-ა კლასის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ციცინო მურცხვალაძეს მამის

**აკაკი მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

---

პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ანზორ სილაგაძეს

**იაგო გივის ძე ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლეილა, მუხრან, ევტეხი სვანიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარ მამარდაშვილი-სვანიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ცაგერის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბორის გოლეთიანს ცოლისძმის

**თენგიზ ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები გურგენ, რუბენ ბურჯალიანები, ვაჟა, რეზო ჭაბუკიანები, სერგო ქურციკიძე ოჯახებით იუწყებიან

**იაგო გივის ძე ბურჯალიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დარეჯან სალინაძე, მანანა კოპალიანი, მანანა მუშკუდიანი, ნინო სილაგაძე, სულიკო ყურაშვილი, გიორგი შკუბულიანი, ნუგზარ კოპალიანი, რომან ტვილდიანი, გულნაზ გოლეთიანი თანაუგრძნობენ ნინო მუშკუდიანს ბიძის

**ლევან ნემსაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ბიძაშვილები ეკვენი, ციალა, მაგული, ფოგული, დოდო, მამიდაბი ვერიჩკა, [illegible] ბი, [illegible] სიძეები [illegible], დავით ლომთაძე, ბიძაშვილიშვილები მაია, გიორგი, მარინე, მანუჩარი, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მედიკო ალექსანდრეს ასული ხეცურიანი.**

---

ორბელის საშუალო სკოლის ტექნიკური ჯგუფის მოსწავლეები, ოსტატი თემურ ბურჯალიანი, კლასის ხელმძღვანელი ბუდუ ქობულაძე თანაუგრძნობენ კოტე ბურჯალიანს ბიძაშვილის

**იაგო ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ანზორ კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**იაგო გივის ძე ბურჯალიანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

რუბენ ბენდელიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნათელა, ვახტანგ კოპალიანებს ძმისა და ცოლისძმის

**იაგო ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ვლადიმერ, გიორგი ბურჯალიანები, ვლადიმერ გვიშიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იაგო გივის ძე ბურჯალიანი.**

---

კურორტ ლაშიჭალის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თინა და გივი ბურჯალიანებს შვილის

**იაგო ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ანზორ ბურჯანაძე, ყორა ლარცულიანი, ონერ ნემსწვერიძე ოჯახებით იუწყებიან

**იაგო გივის ძე ბურჯალიანის**

გარდაცვალებას.

---

პიძები ნოდარ, გიგა ბურჯალიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იაგო გივის ძე ბურჯალიანი.**

---

ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ ლუბა ყურაშვილს დის

**გალინე ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ ლენა, ბიძინა გვიშიანებს დედისა და სიდედრის

**გალინე ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

საშა მინდიაშვილი, სერგო ჩახნაკიძე, მიშა ალექსის ძე კვირკაშვილი, რამინ გულბანი, იური ლარცულიანი, ალუდა ზურაბიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე**

---

ზუბის საექიმო უბნის, სასოფლო საბჭოს, კავშირგაბმულობის, სასოფლო კლუბის, ვაჭრობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანული მამარდაშვილს მაზლის

**ევლოგი გიორგის ძე მუშკუდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ, მაყვალა ლიპარტელიანს ბაბუის

**ვლადიმერ სალინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეგობრები სარდიონ ფუტკარაძე, ბიძინა სალინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აკაკი მურცხვალაძე.**

საქართველოს ბეჭვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა